

## ებრალიძე მირიან სილოვანის ძე

ებრალიძე მირიან სილოვანის ძე [14 (27). IX. 1905, ლანჩხუთი, - 22. XII. 1987, თბილისი], ი ნ ჟ ი ნ ე რ - ჰ ი დ რ ო ტ ე ქ ნ ი კ ო ს ი . საქართვე. დამს. ინჟინერი (1960), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). დაამთავრა საქართვე. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი (1932). 1933-73 მუშაობდა ხრამჭესის, სამგორჭესის, გუმათჭესის, ბჟუჭესის, ენგურჭესის მშენებლობებზე, „საქჰიდროენერგომშენისა“ და „თბილმშენის“ ტრესტებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1973-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვე. პოლიტექ. ინ-ტის სამეცნ.-კვლ. სამუშაოების განცხადების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

---